



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 52

07/05/2018

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მაისის თვის მორიგი სხდომის
მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი ნაწილისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად **ვბრძანებ**:

მუხლი 1. მოწვეულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაისის თვის მორიგი სხდომა 2018 წლის 7 მაისს 11:00 საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის
სხდომის დღის წესრიგი:**

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.:/თ.ქოჩიაშვილი/
თანამომხს:/ა.ურიადმყოფელი/

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N46 104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს.:/თ.ქოჩიაშვილი/
თანამომხს:/ა.ურიადმყოფელი/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ

მომხს.:/თ.ქოჩიაშვილი/
თანამომხს:/ა.ურიადმყოფელი/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 27 აპრილის N 45/2706 წერილი)

მომხს.:/ზ. ბუცხრიკიძე/
თანამომხს:/ გ.თურქაძე

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 25 აპრილის N 45/2644 წერილი)

მომხს: /გ.ლილუაშვილი/
თანამომხს./ნ.ფანჭულიძე/

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 24 აპრილის N 45/2584 წერილი, კობა კელენჯერიძე)


მომხს: /გ.ლილუაშვილი/
თანამომხს./ნ.ფანჭულიძე/

მუხლი 2. დაევალოს საკრებულოს აპარატს საკრებულოს წევრთა ინფორმირება საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ, სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის თაობაზე.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო